№ 186. 4 სეკტემბერი, ხუთშაბათი. 1866—1880 4 სეკტემბერი, ხუთშაბათი. № 186.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
რეზისმედნისზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუთერანის ეკლესიის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის [illegible] ზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

„დროების“ რედაქცია მოიწვევს ყოველთა ქართული მწერლობის და ისტორიის მოყვარეთა მობრძანდნენ სიონის სობოროში, დღეს ხუთშაბათს, 4 სეკდემბერს, 12 საათზე, რათა დაესწრნენ პანაშვიდს **მარი ივანეს-ძე ბროსესას**, რომელიც გარდაიცვალა ქ. შატერლოში, საფრანგეთს.

## ავაზაკობა ქალაქში

ტფილისი, 3 ენკენისთვეს.

მუდამ დღე ერთი და იგივე ამბავი: ამა და ამ ღამეს, ესა და ეს კაცი გაცარცვეს, ეს დუქანი გატეხეს, ის კაცი მოკლესო და სხვ. და სხვ. ამ გვარები.

ცუდ-კაცობა და ცარცვა-გლეჯა ყოველთვის არის ჩვენს კურთხეულს ქალაქში; მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ერთობ გახშირდა, ერთობ საგრძნობელი და დასაფიქრებელი შეიქნა.

თვით შუაგულ ქალაქში, ალექსანდროვის ბაღის კარებთან პოლიციის მოხელე დგას ღამით და ყველა გამვლელ-გამომვლელს აფრთხილებს, ბაღში ნუ გაივლით, „ეშმაკობენ“, უბედურება არა შეგემთხვეთ-რაო!

ბატ. თფილისის პოლიციმეისტერი ძუკის მცხოვრებლებს უცხადებდა ამას წინათ ოფიციალურ გაზეთს „კავკაზში:“ ღამე ფანჯრებს ღია ნუ უშვებთ, ქურდები არიან, ამ გაღებულ ფანჯრებიდამ ქურდობენო.

გასაკვირველი ეს არის: თუ კი პოლიციამ იცის, რომ ალექსანდროვის ბაღში ღამით ქურდები ბუდობენ, თუ კი იცის, რომ ძუკიაში გაღებულ ფანჯრებიდამ იპარავენ, რატომ ის დალოცვილი ამ ადგილებში თავის ყარაულებს არ აყენებს, რატომ არ დარაჯობს და არ იჭერს ავაზაკებსა?

ერთის ძუ-კის (მეცხრე უჩასტკის) მცხოვრებისაგან მივიღეთ ჩვენ ამ დღეებში შემდეგი წერილი:

„ამ უკანასკნელ ორ კვირაში თითქმის ერთი დღე ისე არ გასულა, რომ ერთი დუქანი ან სახლი მაინც არ გაეტეხნათ, ან ვინმე არ გაეცარცვოთ ქურდებსა. პირველი მსხვერპლი ქურდობისა გახდა მელიქ-ფაშის სახლი, მეორე თუშურიანცის პაპიროზის მაღაზია, მესამე ალერწინის ახლად-გაღებული ღვინისა და სხვა სასმელების სარდაფი და სხვ. და სხვ.

„მიზეზი ასე გახშირებულის ქურდობის, ჩემის აზრით, ის უნდა იყოს, რომ ჩვენს უჩასტკაში პოლიციის დესედნიკები და ამათი უფროსები საღამოს 8 საათის შემდეგ თითქმის სრულიად აღარ სჩანან ქუჩაში. არა თუ ქუჩებში, არც თვითონ პოლიციაში იმყოფებიან, როდესაც ალერწიანს გაუტეხეს დუქანი, პატრონმა მალე შეიტყო, გამოვარდა ქუჩაში და სირბილით იძახდა: „დესიატნიკ! დესიატნიკ!“ ქალაქის საავათმყოფომდინ ასე ირბინა და იძახდა, მაგრამ ვერც ერთი პოლიციის მოხელე ვერ იპოვნა. ახლა აქედამ გაიქცა და ხიდამდინ ირბინა, მაგრამ ვერც არავინ აქ იპოვნა! წავიდა თავის უჩასტკის პოლიციაში,—იქ დახვდა ერთი მთვრალი მოხუცებული სალდათი, რომელსაც ისე მწარედ ეძინა, რომ ვერა გზით ვერ გააღვიძა და იმედ დაკარგული დაბრუნდა შინ...“

. . . . . . . . .

## ახალი ამბები

გუშინდელს ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოყვანილი, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს დღეს მოელიან ქალაქშიო. ეს ხმა, მართალია, გავრცელებული იყო ქალაქში, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ნამდვილი ცნობა ჯერ არ მოსულა და არავინ იცის, მოვა, თუ არაო, ან როდის მოვაო.

*
* *

დღეს, ოთხშაბათს დილით, პოლიციასთან ერთი ხალხის გროვა და ამბავი იყო იმის გამო, რომ მომეტებულ ნაწილ მეფურნეებს უარი გამოეცხადებინათ პურის გაყიდვაზე და ეს მეფურნეები პოლიციაში მოიყვანეს. როგორც გავიგეთ, მეფურნეები თხოულობდნენ პურის ფასის მომატებას გირვანქაზე კაპეიკისას, ქალაქის გამგეობა არ დათანხმდა, ისევ ძველი ტაქსია გამოსცა და ამის გამო მეფურნეები სულ უარს ამბობდნენ პურის გამოცხობისას. შუადღეზე ზოგიერთ მეფურნეებმა ისევ გააღეს თავიანთი ფურნეები და დაიწყეს პურის ყიდვა ტაქციითა.

*
* *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში

---

## დროების ფელეტონი, 4 ენკენისთვე

### ჩვენებური.

—

### ქართული წელთ-რიცხვა

მოწაფე. რა დღეს შექმნა ღმერთმა ქვეყანა?
სხოლასტიკი. ღმერთმა შექმნა ქვეყანა პარასკევს, 6 ენკენისთვეს, საღამოს ოთხ საათზე.

ეპიგრაფში მოყვანილი სხოლასტიკის ახირებული ჰაზრი ცხადათ გვიხატავს ჩვენ რა საზღვარსაც მიუახლოვდა კაცის სურვილი დროების შეტყობაზე. ის არ კმაყოფილდება იმის შეტყობით—თუ რამდენი დრო გასულა იმ მოვლენიდამ, რომელიც იმას აინტერებს; იმას ჰსურს ისიც შეიტყოს: რა თვე იყო, რა დღე, რა საათი...

ერთობ ბევრი უნდა ეცხოვრა კაცობრიობას, სანამ ამ გვარი სურვილი მოუვიდოდა. თუ გინდა ამ გვარ გადაჭარბებულ სურვილს თავი დავანებოთ. სანამ კაცი ტყუილა უბრალოთ დროების მინიშნებას და ზომვას დაიწყებდა ბევრ წყალს უნდა ჩაევლო ზღვა-ოკეანეში.

*
* *

მაგრამ ეს სულ ძველი საქმეა. კაცმა, დროთა განმავალობაში, გამოცდილება, ჭკუა შეიძინა. იმის ცხოვრებაში დაიბადა კითხვა: როდის? რომელმაც მის გონებით ზრდაში მოახდინა მთელი რევოლიუცია.

ამ პირველ კაციდამ მოყოლებული დღემდის დროებას საზღვრენ, ანგარიშობენ, ყოფენ, მაგრამ ბოლოს ჯერ მაინც არ მოეღო ამ მუშაობას. დრო არც არის კარგათ განსაზღრული, არც გამოანგარიშებული, არც გაყოფილი.

*
* *

ფილოსოფოსმა სთქვა: დრო ორთა მოვლენათა შორის კავშირი არისო. ეს სთქვა ჩვენი დროების ფილოსოფოსმა, ჯერ კიდევ ცოცხალმა. უწინდელები, რომელთაც ბევრი თავი უმტვრევიათ ამ **დროზე** და მის ფილოსოფიურ დაზე—**სივრცეზე**, ისეთივე ადვილი გასაგები არიან, როგორიც არის ეს უკანასკნელი.

რა არის დრო, თითონ დრო, კაცზე დამოუკიდებლათ, ამისი გამორკვევა კიდევ იმ ფილოსოფოსებს დაუტეოთ, რომელთაც ამაზე ჰქონიათ ზრუნვა. ჩვენ იქ წავიდეთ—თუ წამომყვებით—საცა ფელეტონისტს შეეძლოს დაგახვედროს გაშლილი ტაბლა, რომელზედაც დაინახება რაც არის დრო კაცისთვის.

თავის უკვდავ ქმნილებაში, ჩაილდჰაროლში, ბაირონი ასე ეხვეწება დროებას მისცეს მას სიმხნე:

„დროებავ, რომელიც ამკობ გადაცვლილთა და აძლევ ჰაზრს ძველთ ნაშთსა, ერთად ერთო ნუგეშო წყლულის გულისა და კაცთ შეცდომათა გამასწორებელო, შენ, ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მანგის ქვავ, ნამდვილ ფილოსოფოსო და არა, კაცთაებრ, სოფისტო, შენ, რომელიც, თუმცა გვიან, აძლევ კაცთა მართლმსაჯულებას და შურსა უგებ დიჩაგრულთა....“

ამ რამდენიმე წინადადებაში, რომელნიც, როგორც პროზა და თარგმანი, ჰკარგვენ თავისს ძალას, ბაირონის გენიიმ გამოხატა რაც არის დრო კაცისთვის. სულ ყოველიფერი შიგ არის: დროება, რომელიც თანამედროვეთაგან განდევნილ და ფას მოკლებულ დიდ კაცებს ასწევს ორას, სამ ას წლის შემდეგ იმათ სიკვდილისა; დროება, რომელიც სიყვარულის მანგის ქვა არის, რომელიც უიმედოთა მიჯნურთა და წყლულთა გულთა ნუგეშია და სხვ. და სხვ.

ამაზე რა უნდა დაუმატოს კაცმა. იმით ხომ არ უნდა ჩაუშხამოთ მიჯნურ მკითხველის (საქართველოში ეს სენი ძლიერ გავრცელებულია) ეს მცენება, რომ მოვაგონოთ მას ინგლისური ანდაზა: დროება ფულიაო.

ღმერთმა დაგვიფაროს.

*
* *

დრო გამოანგარიშებულია.

განათლებულ ქვეყნებში მიღებულია წელთ-რიცხვა ქრისტეს განხორციელებამდის და ქრისტეს შემდეგ.

ქრისტეს წინათ გავლილ დროს სხვა და სხვა გვარათ ანგარიშობენ.

ქრისტემდის გაუვლია:

| | |
|---|---|
| ბერძულათ . . . | 5508 წელიწ. |
| ებრაულათ (უსხერიუსით) | 4004. |
| დიონის პეტოთ . | 3984. |
| სკალიგერით. . . | 3949. |
| ქართულათ . . . | 5604. |

როგორც ვხედავთ, ყველა თავისებურათ ანგარიშობდა. აიღებდენ საღმთო წიგნებს, მოყვებოდნენ ადამიდამ და ჩათვლიდნენ: ადამმა ამდენი იცხოვრა, მისმა შვილებმა ამდენი, აბრაამმა ამდენი და ამგვარის ანგარიშით, ბოლოს ზოგს მეტი გამოუვიდოდა, ზოგს ნაკლები, რადგანაც სხვა და სხვა ვარიანტებიდგან ანგარიშობდნენ სხვა და სხვა თარგმანთაგან და თითონ წლები იყვნენ ისეთ ნაირათ ერთმანეთთან გადაბმულნი, რომ შეუძლებელი იყო იმათი ბეჯითად გარჩევა. (აქედამ უნდა გამოვრიცხოთ ქართული გამოანგარიშება, რომელსაც, როგორც ძირს დავინახავთ, სხვა საფუძველი ჰქონდა.)

ერთმა დესიატნიკმა, გვარად მაჭავარიანმა რევოლვერით მოიკლა თავი. მიზეზი ჯერ არ არის გამოკვლეული.

* * *

ამ უკანასკნელ სამ-ოთხ დღეში ჩვენს ქალაქში მოხდა შემდეგი ავაზაკობა და კაცის-კვლა: ორი კინტო წაიჩხუბნენ, ხანჯლებით დაეჭრათ ერთმანეთი; ერთი ამათგანი იქვე მოკვდა, მეორე კი საავათმყოფოში წაიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ ესეც მოკვდა.

პუკიის ხიდზე ვიღაც ავაზაკებმა მოკლეს ერთი ბაყალი.

ცარცვა-ავაზაკობის შემთხვევა მუდამ დღე ორი-სამი ცხადდება „კავკაზში“.

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ სოფ. ახალგორის მღვდელს მ. სამხარაძეს, რომელმანც ამ სოფელში შკოლა გახსნა, ახლა განუზრახავს აქვე ქართულ სავაჭროს გამართვას.

* * *

ქართლიდამვე შემდეგ ამბავს გვწერენ:

„ამ აგვისტოს 31-ს სამთავისის მღვდელი მ. ცხვედაძე აიკლეს ოსებმა. საცხოვრებელი რაც გააჩნდა, ხო სურლებით წაიღეს და თითონ მღვდელიც ისე სცემეს, რომ ვაგონში ორმა კაცმა ძლივს ჩასვეს, გორში როცა მიდიოდა გამოსაცხადებლად. თურმე ხელფეხი შეუკრეს, ყელში ხელი წაუჭირეს, გულზე დაასხდნენ და ისე გააჩერეს, სანამ სახლს სცარცვავდნენ. როდესაც წავიდნენ, ისე შეკრული დასტოვეს, სანამ ვილაცაები არ მიშველებოდნენ.

„ამ ოსებმა ერთი ურიაც მოკლეს და მკვდარიც აღარ სჩანდა აქამდინ; ახლა კი იპოვეს ტყეში; ხის ძირში დაეფლათ, ნადირს ამოეღო და შეეჭამა; მხოლოთ ფეხები და ერთი მკლავი ეგდო.“

—

გასწორება „დროების“ გუშინდელ №-ის შინაგან სესხის ტირაჟის ბილეთები ორ ალაგას შეცდომითაა დაბეჭდილი. დაბეჭდილია (სერიის) 13,330—46 (ბილეთის) და 7,491 (სერიის №)—39 (ბილეთის №) უნდა იყოს: სერიის ბილეთების №№ იგივე ბილეთების კი პირველის 47 და მეორის 49.

იმავე №-ის მეორე გვედზე, ზემოდამ მეთუთხმეტე სტრიქონში დაბეჭდილია: 8 აპრილის უნდა იყოს ზაპასის.

—

ტაქსია

**საჭმელი ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1-დამ 16 ენკენისთვემდი 1880 წ.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 5 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 6 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4½

ჯვარის მამის პური:

პირველის ხარის. ლევაში 1 გირ. 8 კ.
მეორის „ „ 1 გირ. 5½
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის— 1 გირ. 8 კ.
მეორის „ — 1 გირ. 7.
სუკი — 1 გირ. 14
ცხვრის ხორცი 1 გირ. 9
თხის ხორცი — 1 გირ. 9

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქართლიდამ**, 29 აგვისტოს. გორის უეზდის ს. ვაყის ერთმა მებატონეთაგანმა თ. ბეგთაბეგოვმა გამოიგონა ერთი ისეთი უებარი საქონლის ჭირის მოსასპობელი საშვალობა, რომ ვისაც კი ეს ჭკუაში მოუვა და იხმარებს, იმას საქონელი ჭირით ერთიც აღარ მოუკვდება! აი ეს საშვალობა:

აწ მდგომარე მარიამობის თვის ნახევარში ვაყის გლეხმა თ. მ—მა იყიდა ერთი ხარი და თითონ ქალაქში წავიდა კიდევ ხარების სასყიდლათა. ამ გლეხის შინ დაბრუნებამდის ახალი ნაყიდი ხარი ავათ გახდა და მოკვდა. მეორე თუ მესამე დღეს ხარის სიკვდილისა ამავე გლეხის კარგათ მოზდილი დეკეული როგორღაც აიბუზა და ამ მიზეზით გლეხის ცოლმა იმ დღეს ეს დეკეული ნახირში აღარ გაურია, შინ დაიჭირა. ხარის სიკვდილი და დეკეულის ასეთი მდგომარეობა რომ თ. ბ—მა შეიტყო, დაბეჯითებით ბრძანა, რომ ხარიც ჭირს მოუკლავსო და დეკეულიც იმითვე ავათ გამხდარაო.

მაშინვე, რო ჭირი სოფელში არ გავრცელებულიყო, თ. ბ—ვი გლეხის სახლში მრისხანებით მიიჭრა და თავის ბიჭებს, რომლებიც შინიდგანვე იახლენ იმას, სასტიკათ უბრძანა: „წაიყვანეთ ამ გლეხის ავათმყოფი დეკეული სოფლის გარეთ, მოკალით და იქვე ჩაფალით მიწაში“. თუმცა გლეხის ცოლმა და იმის ქმრის სახლიკაცების ცოლებმაც (კაცი არავინ იყო შინა) ბევრი თავში იცეს, იწიოკეს, ივაგლახეს, მაგრამ არც თავადმა და არც მისმა წაქეზებულმა ბიჭებმა ამათ ყურიც არ ათხოვეს. უკანასკნელებმა მოიტაცეს ეს დეკეული, სირბილით სოფლის გარეთ ნახევარ ვერსტზედ გაიყვანეს და ერთ ფოტოროზედ ძალათი გადაჩეხეს; მაგრამ რომ ამითი დეკეული სრულებით ვერ მოკვდა, ბიჭები მიცვივდნენ და ვაინაჩრობით ყელი გამოჭრეს და მგორი კიდეც დაფლეს მიწაში.

მეორე დღეს თ. ბეგთაბეგოვმა მინდორზე დაინახა სხვა გლეხის საქონე-

---

მაგრამ ეს იმდენი არაფერი. აქ ქართული წელთ-რიცხვა, რომელიც არის ყველაზედ უდიდესი, სკალიგერის წელთ-რიცხვიდამ, რომელიც არის ყველაზე ნაკლებ, ათასზე ცოტა მეტი განირჩევა. ეხლა მიუმატოთ ამ წლებს ქრისტეს აქეთ გავლილი დროება და შევადაროთ აქადამ მიღებული ჯამი იმ წლებს, რომელსაც სწავლულები გვაძლევენ ქვეყნის დაარსებიდამ.

ავიღოთ ქართული წელთ-რიცხვი. ქრისტეს წინათ ყოფილა 5604 და შემდეგ 1880. სულ, დასაბამიდამ სოფლის 7487. ეხლა არ გინდათ დაადაროთ ეს წლები ერთს აგურის წელს. როზიემ იპოვა ნილის მდინარეში (ეგვიპტეში) ერთი აგური, რომელსაც მათემატიკურის გამოანგარიშებით 30,000 წელიწადი მაინც უნდა ჰქონდეს, რაც გაკეთებულია... ნორვეგიის ნაპირების აწევის გამოანგარიშებით 24,000 წელს უნდა გაევლო სანამ ნორვეგიის კიდე, რომელზედაც პოულობენ ზღვის ნაშთსა, აიწეოდა იმ ადგილამდის, საცა ეხლა არის.

თითონ წელიწადის სიდიდეც არ არის კარგათ გამოანგარიშებული. ბევრნი ამტკიცებენ, რომ დაბადებაში მოყვანილი წლები ეხლანდელ წლებზე ნაკლეები იყვნენ. მართლა, რა იყო იმის მიზეზი, რომ დაბადების პირნი რვა-ასი, ცხრა-ასი წელი ცხოვრობდნენ. მათუსალამ ცხრა-ას სამოც-და-ცხრა წელი იცხოვრაო, სწერია დაბადებაში. რისგან იყო ეს? წლები იყვნენ მოკლეები, თუ მართლა ბევრ ხანს შეეძლო კაცს მაშინ ეცხოვრა, სხვა ბუნების კანონები მოქმედებდენ მაშინ?

* * *

ეხლა გადვიდეთ დროების დაყოფაზე. ეს პირ-და-პირ გადაგვიყვანს ჩვენ საგანზე.

დროება იყოფა ეხლა დიდ ისტორიულ, ან რელიგიურ მოვლინებაებით. ჩვენ ვიწყებთ დროების ანგარიშს ქრისტედამ (1880 წ.), მაჰმადიანები მაჰომეტის მეკიდამ მედინაში გაქცევიდამ (622 წ.), ფრანცუზებმა შემდეგ დიდის რევოლიუციისა ანგარიში დაიწყეს 22 სეკდემბრიდამ 1792 წ. და რამდენიმე ხანი ჰქონდათ ეს წელთ-ციცხვა; მოხუცებულ მეგრელს რო კითხოთ რამდენი წლისა ხარო ის გიპასუხებს: ქამიანობას (ეს იყო 1812) კარგა მოზდილი ყმაწვილი ვიყავი, თხების მწყემსობა შემეძლოო...

მაგრამ ამ გვარ დროების დაყოფაზე ჩვენ არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ქართულ წელი-რიცხვის საფუძველი ისტორიული მოვლენა არ არის, ზეციურია.

ამ გვართ წელთ-რიცხვას ერთი განმაკერძოებელი ხასიათი აქვს. მაშინ როდესაც ეხლანდელ წელთ-რიცხვებში წელი წელს ემატება, რამდენი საუკუნოებიც უნდა გავიდეს, იმ გვარ წელთ-რიცხვებში, რომლებზედაც გვინდა ვილაპარაკოთ, წლების ერთი-ერთზედ მითვლა დაულეველი როდია. აქ წელთ-რიცხვა დაიწყება, მერე ის მატულობს წლით-წლად და როდესაც მიაწევს ერთს რომელსამე წლამდის, ისევ თავიდამ მოყვება, ისევ დასაწყისიდამ, როგორც ჩვენი დღეები, ან თვეები, რომლებიც ორშაბათიდამ და იანვრიდამ იწყებიან და ისევ ორშაბათს და იანვარს უბრუნდებიან.

ამ ნაირი იყო ასსირიელების წელთ-რიცხვა, ბაბილონელების, ეგვიპტელების და სხვ.

ასსირიელების წელთ-რიცხვა, მაგ., იწყებოდა ერთიდამ და უნდა გაგრძელებულ იყო ორმოც-და-სამი ათას ორ-ას წელს და შემდეგ ისევ ერთიდამ დაწყებულ-იყო. ეს უთვალავი წლები, იმათი გამოანგარიშებით, იყო ერთი დღე მსოფლიოს ცხოვრებისა. ეს დღე იყოფებოდა 12 კოსმიურ საათად. თითო საათში ითვლებოდა სამი-ათას ექვსასი წელი. საათი იყო დაყოფილი 7 ნერათ, რომელთაგან თითო შეიცავდა ექვსას წელს. თითო ნერი იყოფობოდა 10 წამათ, რომელთაგან თითო შეიცავდა სამოც წელს. ჩვენი ჩვეულებრივი წელი შეადგენდა ერთს საუკუნეს ამ დიდს ხრონოლოგიურ პერიოდში.

* * *

ამ გვართ წელთ-რიცხვას ეკუთვნის ქართული წელთ-რიცხვაც.

ქართულათ წელთ-რიცხვას ქვიან **ქორონიკონი**, ან ქვარონიკონი, უეჭველია, ბერძული ქრონიკიდამ. თითო პერიოდს, რომელზედაც იყო დაყოფილი ეს ქორონიკონი, ერქვა: ხუთასეული, მოქცევი, კვიკლოსი, ან, როგორც რომის და საბერძნეთის სწავლულნი ეძახდნენ, ინდიკტიონი.

თეიმურაზი—ეს დიდი და მამულის მოყვარე თეიმურაზი—სწერს, რომ ეს წელთ-რიცხვა ქართული სწავლულებისგან არის შედგენილიო, მაგრამ, ჩვენის ფიქრით. აქ პატრიოტს დაუძლევია განათლებული და მაღალ ჭკუის კაცი, როგორიც იყო თეიმურაზი.

ეს წელთ-რიცხვა ძველითი-ძველათ იყო ხმარებაში ეგვიპტეს.

აი თითონ წელთ-რიცხვა ისე, როგორც ის იყო ძველებურს ეგვიპტეში და საქართველოში:

დროება იყო დაყოფილი 532 წლათ, რომელსაც დავარქვათ ხუთასეული, რომელიც ეს-ეს არის მოვიყვანეთ ზემოთ...

ეგვიპტელებს ეს ხუთასეული ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც ერთი მითოლოგიური მფრინველი—ფენიქსი, რომელიც ყოველს 532 წელში მოდიოდა არაბეთიდამ ეგვიპტის ქალაქში ილლიოპოლში, საცა იყო მზის ტაძარი; იქ, იმ ტაძრის სახურავზედ იკეთებდა ეს მფრინველი ბუდეს, გააწყობდა ბუდეს გვერდით ჩხირებს, აანთებდა იმათ, გამოიწვებოდა იქ და იმის ნაცრიდამ იბადებოდა მატლი, რომლისაგან 532 წლის განმავლობაში იზდებოდა ისეთივე მფრინველი, როგორიც იყო წინათ. ეს

ლი, რომელიც იმ დღეს, არ ვიცი რა მიზეზით, პატრონს ნახირში არ გაერია. ამან იფიქრა, რომ მიზეზი ამ საქონლის ნახირში გაურევლობისა ის უნდა იყოსო, რომ ამასაც ჭირი შეხვედრიაო, მაშინვე თავის ბიჭებს დაუძახა და პირველ-გვარივე ბრძანება გარდასცა. ბიჭები ამ ბრძანებასაც უთუოთ აღუსრულებდნენ, თუ ამ დროს საქონლის პატრონი—გლეხი არ გაჩენილიყო იქა და საწყალი სალი-სალამათი პირუტყვი დიდის ჩხუბით არ დაეგდებინებინა ამ შეუბრალებელ მკურნალთა ხელიდგან.

მაგრამ რა გამოვიდა? თ. ბ—ვი საშინლათ დარწმუნებულია თავისაგან გამოგონილ საქონლის ჭირის მოსასპობელ საშვალობის სინამდვილეზედ და როცა კი შემთხვევა ექნება, უთუოთ იხმარებს ამ საშვალებას; ამისათვის თუ ვაქილებმა ღონის-ძიება რამ არ იხმარეს, ისეთ მდგომარეობაში ჩააგდებს იმათ ეს თავადიშვილი, რომ მართლაც რო ჭირი გაჩნდეს ამ სოფელში, ერთ საქონელსაც ველარ მოკლავს...

**

# რუსეთი

ამ დღეებში რუსეთში ოთხი სენატორი დანიშნეს იმპერიის სხვა-და-სხვა ნაწილის რვა გუბერნიის რევიზისათვის (განხილვისათვის).

რუსული გაზეთების ერთი წილი იმისთანა ალტაცებით მიეგება ამ დანიშნულებას, იმ ნაირი იმედები გამოუცხადა და იმ რიგის შედეგს მოელის მისგან, რომლისთანა სხვა ქვეყნებს მხოლოდ ხანგრძლივის ღვაწლით, თავის-ტეხით და სისხლის ნთხევით შემდეგ ჰღირსებია ხოლმე.

მაგალითად: „**გოლოსის**“ აზრით დღემდის მოხდენილი ყველა რეფორმები, მხოლოდ კერძო რეფორმებათ ჩაითვლებიან **იმ ცვლილებასთან**, რომლისთვისაც (ზემოხსენებული) სენატორებმა უნდა შეჰკრიბონ მასალები და რომელიც შეიძლება „ამ მეფობაში მოხდენილთ **ყველა ცვლილებებზედ უდიდესი** იქნეს.“

მეორე წილი გაზეთებისა კი ასე არ არიან ალტაცებული და ამ დანიშნულებისაგან „ჩვეულებრივის სიკეთის“ მეტს არაფერს მოელიან. მაგ. „**ნოვოე ვრემია**“ ამბობს ამ დანიშნულების მიმართულება წმინდა—საგანმგეო (ადმინისტრატული) იქნება, და მიზნად მხოლოდ ხელისუფლების (**власть**) ბოროტ-მოქმედებათა მოსპობა და გუბერნიის მოხელეების შორის რეფორმისათვის მასალის მომზადება არისო.“ დასასრულს ესევე გაზეთი ამბობს, რომ მას არაფერი სწამს ამ რეფორმის, სანამ შესაფერი ცვლილება ზემოთ და **ქვევით** არ მოხდება.

# უცხოეთი

წვრილი ამბები. სტამბოლიდამ *Daily Telegraph*-ს აცნობებენ: პორტამ დღეს (27 აგვისტოს) ელჩებს გადასცა ნოტა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ რიზა-ფაშის მეცადინეობით ალბანიელნი დათანხმდენ დულცინიოს დათმობაზედო. რიზა-ფაშას უბრძანეს ეს ქალაქი და ოლქის გადასცეს ჩერნოგორიელებს.

იმავე ქალაქიდამ ნემეცურს გაზ. *Presse*-ს სწერენ: ჩერნოგორიას დულცინიო ბაირამის დღესასწაულის შემდეგ ჩაბარდება. ბაირამი იწყება ექვს ენკენისთვეს და სამს დღეს გრძელდება. შვიდს ამ თვეს დოლმა-ბაღჩეს სასახლეში დარბაზობა იქნება, რომელზედაც ხონთქარი სიტყვით მიჰმართავს მინისტრებს. ბაირამის შემდეგ სამინისტრო შეიცვლება.

ეს ცვლილება, როგორც გუშინწინდელ ტელეგრამმით მოგხსენდათ, უკვე მომხდარა.

საბერძნეთის სამხედრო ფლოტს პირეიში მოუყრია თავი ნავსადგურის გასამაგრებლად კრუპპის ზარბაზნებით. ამ ზარბაზნების ხმარებას ჰერმანიის ფიცრები ასწავლიან.

ვენგრიის ჟურნალ-გაზეთობა ალტაცებულია ავსტრი-ვენგრიის იმპერატორის მოგზაურობით ზალიციაში და იმ სიხარულით რომლითაც კრაკოველებმა მიეგებეს ფრანც-იოსებს. გაზეთების აზრით იმპერატორი უნდა დაფიქრდეს თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება პოლშის სამეფოს აღდგინებას. ერთი გაზეთი, პირ-და-პირ თხოულობს სანამ „პოლშის საქმე“ ფეხს აიდგამდეს ზალიციასაც იმ ნაირივე თავისუფლება მიენიჭოს რა ნაირიც ვენგრიას და ხროაციას აქვსო.

ინგლისურ გაზეთს „*Times*“-ში დაბეჭდილია სტატია იმ დღესასწაულის შესახებ, რომელიც ამას წინად იყო ჰერმანიაში სედანთან გამარჯვების სახსოვრად. ამ სტატიაში გაზეთი ღირსეულად იხსენებს ჰერმანიის მხედრობას და ბოლოს ამბობს, რომ ჰერმანიის წარმატებას დიდ ზიანს აძლევს შეიარაღებაო. იქნება მომავალში მას მართლაც დიდი ხიფათი მოელოდეს, მაგრამ კიდეც რომ შეემთხვეს ეს ხიფათი, იგი მაინც იმდენს ზიანს ვერ მოუტანს მას, რამდენსაც ის ხარჯი, რომელიც ზემოხსენებული ხიფათის აცდენას უნდებაო.

ერთი ვენის გაზეთის სიტყვით ავსტრიის იმპერატორმა იმიტომ დაიარა ზალიცია, რომ კარგათ შეეტყო ამ ქვეყნის სამხედრო მდგომარეობა. გაზეთი ამბობს, რომ რეისრატის მომავალს სხდომებს სამხედრო მინისტრი 5—6 მილლიონს გულდენს მოსთხოვს ზალიციის ციხეების გასამაგრებლადო.

---

არაკი მოასწავებდა თავის დღეში დაულეველს და ყოველთვის ახალ დროს.

დრო უმიზეზოდ არ იყო ამ ნაირათ დაყოფილი. აი როგორ: მთვარე 19 წლის გამნმავალობაში და მზე 28 წელს იმავე წერტილში მოდიან, რომელშიაც 19—28 წელთ წინათ იყვნენ. 532 წელში, რომელიც 19 წლის 28-ით გამრავლებისაგან არის მიღებული, ყველა პლანეტები მოდიან იმავე წერტილს, საიდამაც დაიწყეს თავისი მოძრაობა დასაბამიდამ სოფლისა. ამ 532 წლის შემდეგ ქვეყანა, ზეცათა სხეულები, თითქო დღესასწაულობენ თავის დღეობას, თითქო ახლათ იბადებიან, ახლათ იწყებიან, ამიტომ ვარსკლავთ-მრიცხველებმაც ასე განსაჯეს და ეს 532 დასდეს დროების პერიოდათ, რომელშიაც წელთ-რიცხვა უნდა დატრიალებულიყო.

როდის შემოიღეს პირველად საქართველოში ეს წელთ-რიცხვა ნამდვილათ არ ვიცით. ბ. ლიაძის კალენდარი ამბობს: ქრისტეს აქეთ 780 წელშიო; მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა. ქართველებს მერვე საუკუნემდისაც ჰქონდათ ეგვიპტელებთან მისვლა-მოსვლა და მაშასადამე შეეძლოთ წელთ-რიცხვის გადმოღებაც. დავიჯეროთ მერვე საუკუნემდის ქართველებს წელთ-რიცხვა არა ჰქონდათ? შეიძლება სხვა ჰქონოდეთო, იტყვის ვინმე. თუ იყო, სად არის, რატომ ამდენ ქართულ წიგნებში ხსენებაც არ არის იმათზე?

* *
*

არ ვიცი რა წყაროდამ ამტკიცებს, მაგრამ თეიმურაზი ამ საგანზე გადაწყვეტით ამბობს.

იმის ფიქრით, ეს წელთ-რიცხვა ძველის-ძველათ იყო საქართველოში. ამის თაობაზე იმას შემდეგი საინტერესო ცნობაც მოჰყავს: როდესაც შესრულდებოდა ერთი ხუთასეული და გათავდებოდა მომავალი მოქცევის პირველი წელი, ქართველები ერთს რომელსამე არჩეულ ადგილზე დასდებდნენ გათლილს ქვას. მეორე წლის ბოლოს დაუმატებდნენ მეორე ქვას და ამ ნაირათ 532 წლის ბოლოს, ყოველ წლივ თითო ქვის დამატებით, აშენდებოდა პირამიდი, გასულის ხუთასეულის მოწამე. თეიმურაზი ამბობს, ამ ნაირი პირამიდები იპოვებიანო, როგორც ქართლში, ისე იმერეთში და სამეგრელოშიო და კავკასიის მთებზეო.

ამბობენ, როდესაც „ქაცია-ადამიანის“ ავტორმა ამოიკითხა ეს ადგილი თეიმურაზის თხზულებიდამ, ალტაცებული წამოხტა ზეზე, დაჰკრა ხელი თავის სენეკის სტოლზე და სთქვა თურმე:

— ხუთას ოც-და-თორმეტ მანეთს დაუთვლი იმას, ვინც მაჩვენებს მე ამ პირამიდის ქვებსო! და, სანამ ალტაცება განქრებოდა, ამბობს გარდმოცემა, იმან გაგზავნა ბიჭები მთა-ბარში ამ პირამიდის საძებნელად. ამბობენ, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულანო ესენი: ერთი რაღაც ძველი ნაშენი უნახავთ და დღემდინ ვერ გადუწყვეტიათ—ხუთასეულის პირამიდაა ის, თუ ძველი რომელიმე ეკლესიის ტრაპეზი...

* *
*

ქართული ქორონიკონით, დასაბამიდამ სოფლისა ჩვენ დრომდის გაუვლია სრულს თოთხმეტს ხუთასეულს, ე. ი. თოთხმეტ ჯერ 532 წელს. ეხლა ჩვენ ვდგევართ მეთუთხმეტე ხუთასეულში.

სამწუხაროთ, ერთი დიდი ნაკლულევანება ჰქონდა ქართულ ქორონიკონს. დასწერდნენ, ვსთქვათ, რომელსამე წიგნს, აღაშენებდნენ, რომელსამე ეკლესიას, ან გაიმართებოდა ვისმესთან ომი ქორონიკონსა ქ. ეს ქორონიკონი ამ ფაქტის თანამედროვეთათვის იყო სრულათ გასაგები, ე. ი. აღნიშნულია, რომ ნაწერი ეკუთვნის ამა-და-ამ ხუთასეულის ამა-და-ამ დროს. მაგრამ, როდესაც დადგებოდა მეორე, ან მესამე ხუთასეული ძნელი იყო გაერჩია კაცს თუ რომელ ხუთასეულს ეკუთვნის ქორონიკონი ქ. ზოგიერთა სულ-გრძელი მწერლები დაატანდნენ ქორონიკონს მოქცევსაც, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათია.

მაგრამ მეორეს მხრით ქართული მწერლობის დასაწყისიდამ, ე. ი. ფარნაოზის დროიდამ (302—237 ქრისტემდის) სულ გავიდა ოთხი სრული მოქცევი, ასე რომ, როდესაც შეხვდებით უჩინო ქორონიკონს, ჩვენ ათი პირველ მოქცევს სულ არ ვიღებთ ყურადღებაში და ამ ოთხიდამაც ორი უკანასკნელი ხუთასეულის წლებია, რომ გვხვდება ჩვენ სხვა-და-სხვა წარწერაებში.

* *
*

ამიტომ ვილაპარაკოთ ამ ორ უკანასკნელ მოქცევზე.

პირველი ამათგანი, რიცხვით მეცამეტე, იწყება 781 წელს და თავდება 1312-ს. როდესაც რაიმე ნიშნით შეიტყვე, რომ ქორონიკონი ეკუთვნის მეცამეტე მოქცევს, მაშინ ეს ქორონიკონი მიუმატეთ 780, რომელიც არის იმ ხუთასეულის 0 და ჯამი განსაზღვრავს—თუ რომელ ბერძნულ წელს უდრის ეს ქართული ქორონიკონი, მაგ. ქორონიკონი **ს** (200) იმ ხუთასეულისა არის 780+200, ე. ი. 980 წელი ქრისტეს შემდეგ.

ისე უკანასკნელი წასრული ხუთასეული. ამ ხუთასეულის 0 არის 1311 წ. ვთქვათ, წაიკითხეთ სადმე ეკკლესიაზე: ქორონიკონსა რ (100) მე ამა-და-ამ თავადმა მოგართვი ყანა და შენდობა გთხოვე. ეს ნიშნავს, რომ ეს შეწირვა და შენდობის თხოვნა მომხდარა 1312+100, ე. ი. 1412 წ.

ეხლა ჩვენ ვდგევართ მეხუთმეტე მოქცევში. ამ მოქცევის 0 იყო 1844. მაშ მას აქეთ დღემდის გაუვლია ქკ-სა ლვ. აგვისტ. დ.

XV მოქცევი.

ი. მეუნარგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ავსტრიელი სამხედრო გაზეთი ამტკიცებს, რომ მიუცილებლად საჭიროა ავსტრიის საზღვრის გამაგრება რუსეთის მხრით, და ამ მიზნისათვის, უნდა შეკეთებულ იქმნან ეხლანდელი ციხეები და აშენებულ იქნან ახლები.

## ნარევი

**ჩვენი ხალხის ზოგიერთი ცრუ მორწმუნოებანი:** ყმაწვილი რომ ულონოთ იქნება და ფეხს ვერ აიდგამს, წმინდა სანთელს ჩამოასხამენ ცივ წყალში და იმას მთელს ჯვარედინ გზაზე დაჰფლამენ. ყმაწვილი ფეხს აიდგამსო.

***

მკვდარი თუ გაშეშებული არ არისო, მეორეც მოკვდება ვინმეო.

***

გაზაფხულზე პირველათ რომ მერცხალს დაინახამენ, ეუბნებიან:

—„მერცხალო, მერცხალო, შენ და შენი ინდოეთი! ფასკუნჯს თვალი როგორა აქვს?“.

ფასკუნჯი მერცხლების ხელმწიფეაო, თუ არ მიიკითხე დაგწყევლისო.

***

ვინც ტყუპ თხილს შესჭამს იმას ტყუპი შვილი მიეცემაო,—აშინებენ გასათხოვარ ქალებს.

***

ტყირპი არა ჭამო, თორემ გვირგვინ ქვეშ შავი გამოჩნდებიო,—აფთხილებენ საქორწილო ქალ-ვაჟს.

***

როდესაც წყალსა სძინავსო შიგ რო რამე ჩაჰყო, მაშინვე ოქროთ იქცევაო.

ამის გამო ხალხში ლეგენდაა დარჩომილი დღესაც:

ერთს მეწისქვილეს წისქვილი უბრუნავდაო და ნახა, რომ ერთბაშათ კი დადგაო. მეწისქვილემ იფიქრა — ღარში თუ მოედო რამეო, ვაიტანა ნიჩაბი და როგორც კი ჩაყო წყალში, მაშინვე ოქროთ იქცაო და ხელში რო დაამძიმა, ნიჩაბს თავი დაანება ხელებიც ოქროთ ექცაო. მერე რასაც ხელს ავლებდა, სულ ოქრო ხდებოდაო. ხელმწიფემ გაიგო, მოაკვლევინა ის მეწისქვილეო: მაგან რომ სულ ყველაფერი ოქროთ აქციოს, ოქრო კი აღარ იქნება თუჯი იქნებაო. ამ ხელმწიფის ბრალიაო, რომ ეხლა ოქრო ძვირიაო და თუჯი კი ხშირიო.

***

შვიდ წელიწადში ერთხელ ცა იღებაო და ვინც კი დაინახავს და მოასწრებს სამჯერ სამი სიტყვის თქმას, რასაც სთხოვს ღმერთს, იმას აუსრულებსო.

***

თითო ადამიანს თითო ვარსკვლავი ჰყავსო. როცა ადამიანი კვდებაო, ისიც მაშინ ვარდებაო და როცა იბადება ისიც იბადებაო.

***

დედა-მიწა თევზის ზურგზე დგასო და როდესაც გაინძრევა მიწაც ინძრევაო.

## განცხადებანი

ქინაქინის ღვინო ციებისათვის, ატკინსონის საყნოსველი წყალი და სხვანი იყიდება **ნამდვილს ინგლისის მაღაზიაში.**

(12—3)

ქ. გორში გაიდო

### მარიამ კერესელიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია.

იმყოფება კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკკლესიის მახლობლათ, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამ მაღაზიას ამ ადრესით:

Въ Гори, въ книжный магазинъ Маріи Кереселидзе.

(12—5)

ვოდკის დეპო

ვლადიკავკაზის სავოდკე ქარხნის

### შაურ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 38 კ. ბოთლიანათ 45, ნახევარ ბოთლისათვის 25კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მიგვიქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხტინსკოის სახლში.

(8—7)

### ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— , |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2-- ,, | — —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—21)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მაეთად ღირს.

(100—32)

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისთვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საზურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—47)

ახლად გაღებული

### ზ, ჭიჭინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლიათ წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг. Зах. Чичинадзе, Базарная улица д. № 2.

(5—5)

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

### სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS I ARISIÉNNES*’-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლამე შვილებითურთ.

ციტრატ - მაგნეზია — ჭკურვილის მოსასპობელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—15)

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო

### თაიგული

შინაარსი:

1. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. IV მ... სადმი (ლექსი) გ—სა. V. ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაურთვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი